იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ხელმოწერის საზეიმო ცერემონია

სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია ახალციხის 6 სოფელში

2018 წლის 8 თებერვალს 13:00-ზე, ხელი მოეწერა საგრანტო შეთანხმებას ელჩს - ბ-ნ ტადაჰარუ უეჰარას და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თავმჯდომარეს - ბ-ნ გია ნოდიას შორის. პროექტის ფარგლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტის 6 სოფელს მიეწოდება დაბალდანახარჯიანი გრავიტაციული საირიგაციო სისტემა (რომელიც არ საჭიროებს ელექტროენერგიას ფუნქციონირებისთვის). პროექტი ხელს შეუწყობს ცხოვრების ხარისხის ზრდას შესაბამის დასახლებებში. პროექტის დაფინანსება შეადგენს 89,188 აშშ დოლარს.

ადგილმდებარეობა:

იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ხელმოწერის საზეიმო ცერემონია

შშმ პირთათვის რეაბილიტაციის ცენტრის მშენებლობა მესტიის მუნიციპალიტეტში

2018 წლის 8 თებერვალს 13:00–ზე, ხელი მოეწერა საგრანტო შეთანხმებას ელჩს – ბ–ნ ტადაჰარუ უეჰარას და „ერთად რეალური ცვლილებებისთვის“ – გამგეობის თავმჯდომარეს, ქ–ნ ნანა ლომაძეს შორის. პროექტის ფარგლებში, რეგიონში აშენდება პირველი მრავალფუნქციური სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც წელიწადში საშუალოდ 150 ადამიანს მოემსახურება. მათ შორის, პროექტი ხელს შეუწყობს დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას და შშმ პირთათვის სერვისების მიწოდებას. პროექტის დაფინანსება შეადგენს 86,271 აშშ დოლარს.

ადგილმდებარეობა:

იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ხელმოწერის საზეიმო ცერემონია

ომის ფეთქებადი ნარჩენების გაუვნებელყოფა შიდა ქართლისა და სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონებში

2018 წლის 8 თებერვალს 13:00–ზე, ხელი მოეწერა საგრანტო შეთანხმებას ელჩს – ბ–ნ ტადაჰარუ უეჰარას და ჰალო ტრასტის საქართველოს წარმომადგენლობის პროგრამის მენეჯერს – ბ–ნ ირაკლი ჭითანავას შორის. პროექტის ფარგლებში, ჰალო ტრასტი მოახდენს რუსეთ–საქართველოს ომის ფეთქებადი ნარჩენების გაუვნებელყოფას. განაღმვითი სამუშაოების შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება ტერიტორიის უსაფრთხოება. პროექტის დაფინანსება შეადგენს 400 000.

ადგილმდებარეობა: